# 87 წელი თქვენთან ერთად!

**87 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 88-ე წელი.**



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
**ვახუშტი ბაგრატიონი**

# თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №13 {7018} 1 ივლისი 2020 წელი • www. Terjola. gov. ge

## საკონსტიტუციო ცვლილება მიღებულია!

*საქართველოს პარლამენტმა მესამე, საბოლოო მოსმენით მიიღო კონსტიტუციური კანონპროექტი, რომელიც ცვლის პარლამენტის არჩევის წესს.*

*პარლამენტის რიგგარეშე სესიის 29 ივნისის სხდომაზე ცვლილებებს ხმა მისცა 117-მა დეპუტატმა. 3 წინააღმდეგი იყო - „ქართული ოცნების“ უმრავლესობის ყოფილი წევრები, უფრაქციო დეპუტატები ბიძინა გეგიძე და ალექსანდრე ერქვანია და დმანისი-წალკის მაჟორიტარი დეპუტატი კახა ოქრიაშვილი, რომელიც ფრაქციის „ქართული ოცნება - რეგიონების განვითარებისთვის“ თავმჯდომარეა.*

კონსტიტუციური კანონპროექტის მიღებას სჭირდებოდა სულ მცირე 113 დეპუტატის მხარდაჭერა.

„ქართული ოცნების“ უმრავლესობის გარდა, საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარი დაუჭირეს „დამოუკიდებელი დეპუტატების“ და „პატრიოტთა ალიანსი და სოციალ-დემოკრატების“ ფრაქციების წევრებმა და უფრაქციო დეპუტატების ნაწილმა.

სხდომას არ დაესწრნენ და კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს „ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ დეპუტატებმა. ისინი საარჩევნო საკითხებზე „ქართულ ოცნებასთან“ 8 მარტს მიღწეული შეთანხმების ნაწილად აცხადებენ „პოლიტპატიმარ გიორგი რურუას“ გათავისუფლებას და მის შესრულებას ასახელებდნენ საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერის პირობად.

საკონსტიტუციო ცვლილებები „ქართული ოცნების“ უმრავლესობამ მოამზადა ოპოზიციურ პარტიებთან 8 მარტს მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. მხარეთა მოლაპარაკების პროცესში ამერიკელი და ევროპელი დიპლომატები მონაწილეობდნენ.

ცვლილებების თანახმად, პარლამენტში პროპორციული სისტემით აირჩევა 77-ის ნაცვლად 120 დეპუტატი და მაჟორიტარულით 73-ის ნაცვლად—30. პროპორციული არჩევნები ჩატარდება 1%-იანი ბარიერით და გაჩნდება ე.წ. ჩამკეტი იმისათვის, რომ გამოირიცხოს 40%-ზე ნაკლები მხარდაჭერის მქონე პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვება და მთავრობის დამოუკიდებლად ფორმირება.

ეს საარჩევნო სისტემა 2024 წლამდე იმოქმედებს, რადგან საქართველოს კონსტიტუციით, 2024 წლიდან საპარლამენტო არჩევნები მთლიანად პროპორციული სისტემით ჩატარდება.

საკონსტიტუციო ცვლილებები ძალაში შევა მას შემდეგ, რაც პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტს ხელს მოაწერს საქართველოს პრეზიდენტი.

21 ივნისს, პირველი მოსმენის დროს, საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარი დაუჭირა 136-მა დეპუტატმა. მათ შორის იყვნენ ოპოზიციური „ევროპული საქართველოს“ წევრებიც, თუმცა, პარტიამ მაშინვე განაცხადა, რომ რურუას გათავისუფლების გარეშე, მომდევნო ორ კენჭისყრაში მონაწილეობას აღარ მიიღებდა.

იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებაში ბრალდებული გიორგი რურუას წინასწარ პატიმრობაში დატოვების გამო, 23 ივნისს, „ევროპულმა საქართველომ“ მონაწილეობა აღარ მიიღო ცვლილებების მეორე მოსმენით კენჭისყრაში. მეორე მოსმენით მიღებისას კონსტიტუციურ კანონპროექტს 115 მხარდამჭერი ჰყავდა.

ახლა ჯერი საარჩევნო კოდექსში შესაბამისად შესატან ცვლილებებზეა.

## პასუხისმგებლობა და შესრულების ეფექტურობა რომ უფრო მაღალი იყოს...

წლების განმავლობაში, სხვადასხვა დროს, „თერჯოლა“ არაერთგზის წერდა ოპერატიული თათბირების იმ მნიშვნელობაზე, რაც მათ, როგორც ერთ-ერთ სერიოზულ მექანიზმს აკისრია მოსახლეობაში, კონკრეტულ დარგებში თუ ობიექტებზე, საჯარო სამსახურების და საერთოდ, ნებისმიერი მმართველი რგოლის თუ სტრუქტურული ერთეულის მიერ ადგილებზე რეალურად არსებული ვითარების ფლობის თვალსაზრისით, რაც დავალებების სწორად გაცემის და შემდგომში მათ შესრულებაზე ეფექტური კონტროლის შემთხვევაში ბევრად ხელშესახებ შედეგს იძლევა.

☞2

## ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გადამწყვეტ ეტაპზეა!

მიმდინარე წლის 6 თვე მიილია. ეს წლის დასაწყისიდან საკმაო დროა იმისათვის, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ რგოლებს ყოველგვარი ორგანიზაციული თუ სხვა სახის ღონისძიებები განეხორციელებინათ 200-ზე მეტი დიდი და მცირე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის შესასრულებლად არა მარტო მყარი ფუნდამენტის ჩაყრის, არამედ მათი საბოლოოდ დასრულებისათვის.

განვლილი პერიოდის მანძილზე „თერჯოლა“ მკითხველს სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციებს ამ მიმართულებით მიმდინარე საქმიანობაზე.

☞2

## „სამშობლო უპირველეს ყოვლისა“!

☞2

### ივლისი

7—შობა წმ. იოანე ნათლისმცემლისა
12—პეტრე-პავლობა
13—სვეტიცხოვლობა
15—ვლაქერნობა
28—კვირიკობა და ივლიტობა

# პასუხისმგებლობა და შესრულების ეფექტურობა რომ უფრო მაღალი იყოს...

1☜

ამჯერად, მუნიციპალიტეტის მერთან მოქმედ სათათბირო სისტემაში, მიმდინარე წლის ივლისის თვიდან შესატან იმ ცვლილებას გაგაცნობთ, რომელიც მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის, ლაშა გოგიაშვილის დავალებით მომზადდა. ამ ცვლილების საფუძველი, როგორც მერიაში განაცხადეს, სისტემის ერთმა რგოლმა, კერძოდ კი მუნიციპალიტეტის მერთან მოქმედმა გაფართოებულმა თათბირმა მოითხოვა, რომელიც ყოველ თვეში ორჯერ ტარდებოდა და მან ურთიერთინფორმირების, აზრთა გაცვლის, დავალებების ოპერატიულად გაცემის და შესრულება-შემოწმების თვალსაზრისით დღემდე იმუშავა და თავისი ფუნქცია უკვე ამოწურა.

ახალ კორონავირუსულ რეჟიმში ცხოვრების რეალობამ ახალი გამოწვევები მოგვიტანა და შექმნა ახალი მოცემულობა.

ახალი თათბირების სტრუქტურა ასეთია:

1.თვის პირველი ორშაბათი

ესწრებიან მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციული ერთეულებიდან.

მათთან ერთად თათბირს ესწრებიან სამსახურების და განყოფილებების ხელმძღვანელები, რომლებიც დაკავშირებული იქნებიან თათბირის დღის წესრიგთან.

2. თვის მეორე ორშაბათი

ესწრებიან ა(ა) იპების ხელმძღვანელები.

მათთან ერთად თათბირს ესწრებიან მერიის ის თანამშრომლები, ვინც უკავშირდება ა(ა) იპებთან განსახილველი საკითხების დღის წესრიგს.

3. თვის მესამე ორშაბათი

ესწრებიან მერიის ეკონომიკური ბლოკის ხელმძღვანელები

4. თვის მეოთხე ორშაბათი

ესწრებიან მერიის სამსახურების და განყოფილების უფროსები.

ყველა თათბირი დაიწყება 11 საათზე. როგოც წესი, მას ესწრებიან მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე, იურიდიული სამსახურის უფროსი და თანაშემწე, ხოლო თვის პირველი ორშაბათის თათბირს, მათთან ერთად—რეფერენტები.

გაზეთი „თერჯოლა“, როგორც ჩვენ გაგვიმარტეს, ისარგებლებს ყველა თათბირზე დასწრების ექსკლუზიური უფლებით, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საქმიანობის თაობაზე მოსახლეობის სწორად ინფორმირებას და მმართველი რგოლების მუშაობის გამჭვირვალობას.

**დ. შალიკაშვილი**

# ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გადამწყვეტ ეტაპზეა!

1☜

კარგია, რომ უკვე გვაქვს  მნიშვნელოვანი შედეგები. მთლიანად დასრულდა რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი, ზოგიერთზე მუშაობა გრაფიკის წინმსწრები ტემპითაც კი მიდის. მართალია, რიგ პროექტებთან კავშირში არის სხვადასხვა შემაფერხებელი გარემოებები, ზოგჯერ იქმნება ცალკეული პრობლემები და სხვა, მაგრამ ხაზგასასმელია, რომ ასეთი სახის შეფერხებები თანდათანობით მცირდება და ეს პირდაპირი შედეგია იმ ძალისხმევისა, რასაც მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი, მისი მოადგილე მანუჩარ რობაქიძე, მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები ახმარენ სამუშაოების მაღალხარისხოვნად და გრაფიკის დაცვით შესრულებას.

დაპირებისამებრ, უახლოეს პერიოდში, „თერჯოლა“ მკითხველს შესთავაზებს ინტერვიუს მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელთან, ბატონ ლაშა გოგიაშვილთან.

რა თქმა უნდა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიმდინარეობა ინტერვიუს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იქნება და აღნიშნულის გამო, ამ მნიშვნელოვან თემაზე, ჩვენი პროექტების მრავალპროფილურობისა და დაფინანსების წყაროების გათვალისწინების მიხედვით მოგითხრობთ.

## გიწვევთ სამუშაოდ!

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს თერჯოლის რაიონის სოფ. ნახშირღელის ფეროშენადნობთა ქარხანა აცხადებს თანამშრომელთა მიღებას დამხმარე მუშების, მდნობელების, ზეინკლების, ელექტროშემდუღებლების, ელექტრომონტიორების და მშენებლების პოზიციებზე. საწყისი ხელზე ასაღები ანაზღაურება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს, ზრდის პერსპექტივით.

მუშა–მოსამსახურეები უზრუნველყოფილნი იქნებიან ტრანსპორტით, კვებით და ჯანმრთელობის დაზღვევით.

**დაგვიკავშირდეთ 599 87 81 53**

# „სამშობლო უპირველეს ყოვლისა“!

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება № 45 636

**29.05.2020**

*თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 3 თებერვლის „სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის შექმნის შესახებ“ №45 129 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ*

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის დადგენილება №62-ის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად ვბრძანებ:

მუხლი 1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 3 თებერვლის „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის შექმნის შესახებ“ №45 129 ბრძანების პირველ მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. შეიქმნას სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლაშა გოგიაშვილი—თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, გამწვევი კომისიის თავმჯდომარე.

ბ) პაატა გოგიაშვილი—თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

გ) ზურაბ გოგიაშვილი—თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის, მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, გამწვევი კომისიის მდივანი.

დ) შოთა რობაქიძე—თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის, მე-3 რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

ე) ბეჟან გოგიაშვილი—თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის, მე-3 რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

ვ) ირაკლი ცხადაძე—თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის, მე-3 რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

ზ) ბუხუტი ნიკურაძე—საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თერჯოლის რაიონული სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი.

თ) მერაბ სირბილაძე—საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კომისიის წევრი.

მუხლი 2. ბრძანება ჩაბარდეს კომისიის წევრებს.

მუხლი 3. ბრძანება გამოქვეყნდეს რაიონულ გაზეთ „თერჯოლაში“.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7). კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ლაშა გოგიაშვილი,**
**მუნიციპალიტეტის მერის**
**მოვალეობის შემსრულებელი**

---

მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურიდან გვატყობინებენ, რომ:

ქართულ ჯარში მორიგი გაწვევა განხორციელდა. თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან ოცდაერთმა ახალგაზრდამ მოირგო სამხედრო მუნდირი.

ესენი გახლავთ:

1. ლევიძე ნიკოლოზ თეიმურაზის ძე—გოდოგანი
2. სირბილაძე იგორ ბიქტორის ძე—სიქთარვა
3. ჩუბინიძე ნუგზარ გიორგის ძე—თერჯოლა
4. ოქრუაძე ნიკოლოზ ელდარის ძე—რუფოთი
5. თურქაძე გოგა გელას ძე—ზ. საზანო
6. კუპატაძე გიორგი მურადის ძე—ზ. საზანო
7. ჭანკვეტაძე გოგა ბადრის ძე—რუფოთი
8. ბუცხრიკიძე აკაკი გოდერძის ძე—ალისუბანი
9. ცერცვაძე ანრი ელგუჯას ძე—ბარდუბანი
10. ლანჩავა რუბენ რამაზის ძე—ნახშირღელე
11. ოქრუაძე ბექა რამაზის ძე—რუფოთი
12. კვიმსაძე ლუკა ლერის ძე—გოდოგანი
13. ჭანკვეტაძე ვაჟა მამუკას ძე—რუფოთი
14. აბჟანდაძე საბა ალექსანდრეს ძე—სიქთარვა
15. ყაზაიშვილი ლევან გოჩას ძე—ალისუბანი
16. ზარნაძე როინი ზვიადის ძე—თერჯოლა
17. ლანჩავა ლიონი ვეფხიას ძე—ნახშირღელე
18. მაკარიძე გიორგი ფირუზის ძე—თერჯოლა
19. გვენეტაძე გურამ თომას ძე—ზედა სიმონეთი
20. მირველაშვილი ზურაბ ივანეს ძე—ალისუბანი
21. კავაძე რომან გიორგის ძე—ქვ. სიმონეთი

მადლობა მათ და მათ მშობლებს, ასევე აღმზრდელ-პედაგოგებს, მადლიერებით მოვიხსენიებთ წარმოდგენილი სოფლების ადმინისტრაციებს, რომლებმაც წარმატებით გაუკეთეს ორგანიზაცია სამშობლოს დამცველთა რიგებში ახალი შევსების საქმეს.

გვჯერა, ჩვენი ახალწვეულები წარმატებით დაეუფლებიან სამხედრო ტექნიკას; გაიწრთობიან, ახალ სამხედრო შეიარაღებასა და ტექნოლოგიებს დაეუფლებიან, ისინი უფლებას არავის მისცემენ დამპყრობლური თვალით იცქირებოდნენ ჩვენი სამშობლოს საზღვრებისკენ.

ჯარი ქვეყნის სახეა!

ეს ყველამ ვიცით—პოლიტიკოსმაც და ხელოვანმაც.

მიწის მუშამაც და ღვთისმსახურმაც...

ამიტომაც არის, რომ ჯარში ნებაყოფლობით მიდიან ჩვენი ჯანსაღი ახალგაზრდები. მათ პატრიოტული გრძნობები ამოძრავებთ თავიანთი მთისა და ბარისა, ქვეყნის წარსულის, აწმყოსი და მომავლისა...

ამავე დროს...

ამავე დროს გულსატკენია ცალკეული შემთხვევები, როცა „რელიგიური“ მოსაზრებებით თავს არიდებენ ჯარში სამსახურს.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს დაცვა და სამხედრო ვალდებულებების მოხდა ყოველი ჯანმრთელი ახალგაზრდის მოვალეობაა.

უნდა გვახსოვდეს, რომ კანონი სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ ყველა ახალგაზრდისათვის არის კანონი.

„ქუდზე კაციო“—წმინდა სამრეკლოდან რომ გაისმოდა ჩვენი წინაპრის ძახილი—ყველა ვალდებული იყო სამშობლოს მხარში დადგომოდა!

არ ვაპირებთ საკითხის პოლიტიზირებას, პატივს ვცემთ ყველას რელიგიურ გრძნობას, მაგრამ გვინდა შევუძახოთ ახალგაზრდებს: ბიჭებო,—„სამშობლო უპირველეს ყოვლისა“, ბიჭებო, ვიამაყოთ ჩვენი ქრისტიანობით. შედით საყდარში და ილოცეთ სამშობლოსათვის. ამავდროულად თოფის ხმარებაც უნდა ვისწავლოთ, მკლავიც უნდა გავიმამაცუროთ!..

ეს მამულის ძახილია!

ეგეც არ იყოს... გოგოებს, ჩუმ-ჩუმად რომ გითვალთვალებენ, მაინცდამაინც როდი ხიბლავთ „დედას ბიჭები“... კაცებად გამოუჩინეთ მათ თავი!

სხვა რა გითხრათ, რა **გირჩი**ოთ? არ გვემეტებით სა-**გირჩი**ოდ!

**ნუგზარ იშხნელი**

# ჩვენი ქალაქის სასიკეთო ფერისცვალება



თერჯოლა ე. წ. „თერჯოლის შემოსახვევიდან“ იწყება. გასული საუკუნის ორმოციანი და უფრო ადრინდელი წლებიდან ძველი თაობების მეხსიერებას შემორჩა ვიწრო „მოხრეშილი“ საავტომობილო გზა, რომელიც მიემართებოდა „შორეული“ ტყიბულისა და რაჭისაკენ...

ჩხარი-ზესტაფონის მონაკვეთზე ტენტიანი ავტობუსიც იყო დანიშნული, რომელსაც ომამდე თურმე ორი გერმანელი მეპატრონე მართავდა. აქედან შემორჩა გამოთქმაც: „უტი, უტი მინადორა, ნემენცია, არ დაგზოგავსო“...

მას აქეთია ბევრმა დრომ განვლო. იცვლებოდა გარესამყარო, იცვლებოდნენ თაობები... იცვლებოდა ცხოვრების წესი.

ახლა ძნელი წარმოსადგენია, რომ „კოხრასთან“ დღისითაც კი მგლები თავისუფლად გრძნობდნენ თავს. „სატურიასთან“ თურმე ისეთი გაუვალი ტყე ყოფილა, რომ „ძაღლი კუდს ვერ მოიბრუნებდა“, იქ, სადაც ჩვენი დავით კლდიაშვილის ძეგლ-მემორიალია, ორი „გრუზავიკი“ გზას ვერ აუვლიდა ერთმანეთს...

მცირე ფრაგმენტების მოხმობა პარალელის გასავლებად დაგვჭირდა მხოლოდ. მეოცე საუკუნე ნელ-ნელა ტკეპნიდა გზებს, მაინც წინ მოიწევდა... ორმოცდაათიან წლებში თერჯოლა ადმინისტრაციული ცენტრი გახდა.

მერე დაბის სტატუსი მიიღო, ქალაქის სახელიც მოირგო... ასე ნელ-ნელ დაიმკვიდრა თავისი მეობა.

ვრცელი თემაა, საშური და დავიწყებისთვის არგასამეტებელი.

უბრალოდ, დღევანდელ თაობას ვუამბობთ, რომ ამ ვიწრო „მოხრეშილი“ საავტომობილო გზის ორივე მხარეს თერჯოლელთა საკარმიდამო ნაკვეთები და საცხოვრებლები იყო ჩამწკრივებული. სიღარიბე იცქირებოდა ყოველი კუთხე-კუნჭულიდან. ბევრი კარ-მიდამო უმეტესად შეუღობავი იყო, ინფრასტრუქტურა—ძველებურ არქაული...

მაგრამ ცხოვრებას მაინც სასიკეთო პირი უჩანდა... ცივილიზაცია მაინც მოიკვლევდა გზას...

შემოვიდა ელექტრონი, მოხდა ქალაქის რადიოფიცირება. გაჩნდა სახელმწიფო დაწესებულებები...

ამ ჩვენს ე. წ. მოხრეშილ საავტომობილო გზაზე დაიგო ასფალტი. შედარებით მოწესრიგდა წყალსაშვი არხები და ა.შ.

დადგა დღის წესრიგში ქალაქს ჰქონოდა ასე ვთქვათ—საფასადო შემოსასვლელი. ე. წ. დეკორაციული ღობეების გაკეთება, რა თქმა უნდა, რაიონის ადმინისტრაციამ ითავა. მაგრამ პირველი მცდელობა არც ისე წარმატებული გამოდგა—აგურის ღობეებმა მალევე (რამდენიმე წელიწადში) დაშლა დაიწყო...

მერე უკეთესი გაკეთდა, ქალაქმა ეროვნულ არქიტექტურით ნასაზრდოები ხის ჭიშკრები დაიმშვენა...

მაგრამ ჟამთა სვლა ყველას და ყველაფერს აძველებს და შეცვლას აიძულებს.

ახლა ეს პერიოდი უდგას ჩვენს ქალაქს...

ნახავთ ფოტოებს და დარწმუნდებით ამჟამად მიმდინარე განახლების მასშტაბებში...

ეს ყველაფერი, როგორც უკვე ვიუწყებოდით, კეთდება ქალაქ თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობის იმ პროექტის შესაბამისად, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 848 800 ლარით ფინანსდება და პირველ ეტაპზე ითვალისწინებს ოთხი ლოკაციის კეთილმოწყობას: რუსთაველის ქ. №114 მიმდებარედ არსებულ სკვერს; რუსთაველის ქუჩაზე არსებულ გმირთა მემორიალს; რუსთაველის ქ. №109, მერიის მიმდებარე და დავით კლდიაშვილის სკვერის ტერიტორიასა და სხვ.

სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

ამავდროულად გრძელდება დაზიანებული ღობეების შეკეთება-განახლების სამუშაოები.

წარმოდგენილ სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჯორჯიან სტოუნი“ ახორციელებს (ხელმძღვანელი ნუკრი სარდანაძე).

ფოტოებზე აღვბეჭდეთ სამუშაოები.

დაგვერწმუნებით, შთამბეჭდავია. როცა ეს ყველაფერი დასრულდება, თერჯოლა სრულად განახლებული და გალამაზებული სახით წარუდგება მნახველს.

მაშინ გავაცნობთ საზოგადოებას ადამიანებს, ასე გულიანად რომ ირჯებიან ჩვენი ქალაქის სასიკეთოდ და ნამდვილი სახის გამოსაჩენად.

გვიმტკიცდება რწმენა, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, სახელმწიფო ქვეგანაყოფები, ყოველი თერჯოლელი ერთსულ და ერთ ხორც იღვაწებენ უკეთესი მერმისისათვის.

ეს ყველაფერი კი გვკარნახობს ვიდგეთ იქ, სადაც უნდა ვიდგეთ.

თერჯოლელებო, მშვიდობასა და სიყვარულში მოგვეხმაროს ჩვენი ქალაქი. არ დავზარდეთ და უშურველად გავიღოთ მისთვის გასაღები.

მეტი დრო უნდა დავუთმოთ, ასე ვთქვათ შიგა ინტერიერსაც. გავითვალისწინოთ ფაქტორი, რომ ჩვენი ფართოგაბარიტიანი გზა უცხოელ ტურისტთათვის ერთგვარ გზამკვლევსაც წარმოადგენს. ისინი განახლებული გზისპირების მიღმაც „შეიჭყიტებიან“... ვაჩვენოთ მათ თერჯოლური ეზო-კარის სიკოხტავე. აბა, რა სალაპარაკოა და რა გვესწავლება რომ ღიმილთან ერთად ცივი წყალიც შევთავაზოთ მათ.

„თთ... ერ-ჟოლა...“ დავახსომოთ და თან გავაყოლოთ ეს სახელი...

***

გვეწერება და ვწერთ ამ ყველაფერზე, სიხარულით და სიყვარულით. ჩვენს მკითხველს მალე ისევ შევხვდებით. მალე ისევ დაგვიგროვდება საამოდ საამბობი.

**ნუგზარ გამყრელიძე**

P.S. ვიდრე ჩვენი გაზეთის ეს ნომერი ბეჭდვაში ჩაეშვებოდა, დაგვიკავშირდა მერის წარმომადგენელი ქალაქ თერჯოლაში გია მარუაშვილი, რომელმაც გვაცნობა, რომ ქალაქში, მისი ცენტრის კეთილმოწყობის პროექტთან ერთად განხორციელების აქტიურ ფაზაშია ლესელიძის და ჯაბიძის ქუჩების კონკრეტულ უბნებში არმირებული ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები, უკვე დასრულდა ლესელიძის ქუჩის პირველი შესახვევის (ბოჭორიშვილების უბანი) რეაბილიტაცია—გვითხრა მან.



# „კორონავირუსი“ და „თერჯოლამედის“ ინფექციური განყოფილება

*გვესაუბრება ექიმი ინფექციონისტი, იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრ „თერჯოლამედის“ ინფექციური განყოფილების გამგე მამუკა აბულაძე*

2019 წლის ბოლოს, დედამიწის მოსახლეობა და უპირველეს ყოვლისა, სამედიცინო საზოგადოება ახალი გლობალური გამოწვევის წინაშე დადგა. მოსახლეობის ნაწილი დაავადდა ახალი კორონავირუსული, მანამდე უცნობი ვირუსით გამოწვეული დაავადებით. კორონავირუსული დაავადებები მედიკოსთათვის ადრეც იყო ცნობილი, თუმცა, ახალ კორონავირუსულ დაავადებას იწვევს ვირუსის ახალი შტამი, რომლის თვისებები ახლაც კი არასათანადოდ არის შესწავლილი, რაც შესაბამისად, ართულებს კიდევაც მის წინააღმდეგ ბრძოლას. ქართველ მედიკოსთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კარგად გაართვეს თავი ამ ახალ გამოწვევას, რაზეც მეტყველებს ის სტატისტიკა, რაც დღეს საქართველოში გაგვაჩნია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჩვენი მთავრობის, პრემიერ-მინისტრის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეფექტური მუშაობა.

ახალ გამოწვევას ღირსეულად შეხვდა იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრის, იმერმედი—თერჯოლამედის კოლექტივიც. მისი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ კეპულაძის მეცადინეობით მთლიანად მოდერნიზდა ინფექციური განყოფილება. მან შეიცვალა ადგილი, გარემონტდა და შესაბამისად აღიჭურვა. დატრენინგდა მედპერსონალი: ექიმები, მედდები, სანიტრები, რაშიც დიდად დაგვეხმარა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველო ბატონ გოჩა გიორგაძის მეთაურობით.

ამჟამად ინფექციური განყოფილება განთავსებულია 9 (ცხრა) საწოლზე. აქვს სრული ბოქს-პალატა, სადაც იზოლირებულად, ცალკე შესასვლელით ხდება ავადმყოფის მიღება. ასევე დანარჩენი პალატებიც ბოქსირებულია, რომელშიც შექმნილია სრული კომფორტი როგორც პაციენტებისათვის, ასევე მედპერსონალისთვის.

როგორც ცნობილია, გაზაფხულზე, მინისტრის სპეციალური ბრძანებით, კლინიკების ნაწილს მიენიჭა „ცხელების ცენტრების“ სტატუსი, მათ შორის, ჩვენს საავადმყოფოს—„თერჯოლამედს“. აპრილიდან დღემდე ინფექციურ განყოფილებას მომართა 250-მდე პაციენტმა, როგორც ამბულატორიულად, ასევე სტაციონალურად. მათ შორის 154-ს ჩაუტარდა სპეციალური, მაღალტექნოლოგიური კვლევა ახალ კორონავირუსულ ინფექციაზე, ე.წ. PCR პოლიმერაზულ-ჯაჭვური რეაქცია, რომელიც გამოირჩევა მაღალი სიზუსტით და საიმედოობით. აქედან 1 (ერთს)-ს დაუდასტურდა ახალი კორონავირუსული დაავადება და ეს პაციენტი გადაყვანილი იქნა ქ. ქუთაისში, სპეციალიზებულ კლინიკაში, რომელსაც მინიჭებული აქვს ამ დაავადების მმართველი კლინიკის სტატუსი.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენს კლინიკას მინიჭებული აქვს „ცხელების კლინიკის“ სტატუსი და გააჩნია შესანიშნავად აღჭურვილი, კომფორტული, კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული ინფექციური განყოფილება, ჩვენთან ხვდებიან პაციენტები, რომელთაც აქვთ ვირუსული ინფექციისათვის დამახასიათებელი სიმპტომატიკა და ამიტომაც ისინი განიხილებიან ახალი კორონავირუსული დაავადების შესაძლო შემთხვევებად. მათ უტარდებათ ქართველ მედიკოსთა მიერ შექმნილი პროტოკოლით გათვალისწინებული გამოკვლევები და შესაბამისად, ხდება მათი შემდგომი დიფერენცირება და მართვა.

ახალ გამოწვევებთან ბრძოლის ავანგარდში დგანან ექიმები, ინფექციონისტები: ფიქრია ბერაძე, მაკა დიდბერიძე, მედდები: გურანდა აბულაძე, ინეზა ზანკალიანი, სოფიო აფრიდონიძე; უმცროსი მედდები: თამუნა რამიშვილი და თამთა ჯულაყიძე. უპირველეს ყოვლისა, გვერდით გვიდგას და საქმიანობას გვიადვილებს ჩვენი საავადმყოფოს დიაგნოსტიკური დეპარტამენტი; უახლესი აპარატურით აღჭურვილი, რენტგენისა და კომპიუტერული ტომოგრაფიის კაბინეტები, ექოსკოპიის, კლინიკური, ბიოქიმიური, სეროლოგიური და ბაქტეროლოგიური ლაბორატორიები. დკსჯეც იმერეთის სამმართველოს ლაბორატორია, სადაც ხდება ზემოთაღნიშნული მაღალტექნოლოგიური, დიდი სიზუსტით გამორჩეული PCR—კვლევა, ცხვირ-ხახის ნაცხის გამოკვლევა ახალ კორონავირუსულ ინფექციაზე.

უდიდეს დახმარებას გვიწევს მთელი საავადმყოფოს მედპერსონალი, ჩვენი დაუზარელი კონსულტანტები: პედიატრები, ქირურგები, ნევროლოგები, ენდოკრინოლოგები, დერმატოლოგები, ფსიქიატრები, კარდიოლოგები და რა თქმა უნდა, ჩვენი საავადმყოფოს მენეჯმენტი ბატონ ვლადიმერ კეპულაძის მეთაურობით. აღნიშვნის ღირსია ჩვენი ეპიდემიოლოგების, ქალბატონ თამილა არჯევანიძის და მისი სამსახურის, ჩვენი კლინიკის ეპიდემიოლოგის, ბატონ ავთანდილ ჩიტიძის დაუღალავი შრომა.

ეს ერთსულოვნება, ეს გვერდით დგომა და თანამონაწილეობა გვაძლევს სტიმულს, რათა ჩვენც ჩვეული გულმოდგინებით, ერთგულებით, დაუღალავად და დაუზარებლად შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობანი და მტკიცედ ვიდგეთ ადამიანთათვის ყველაზე სანუკვარი და ძვირფასი—ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

# კორონასთან თანაცხოვრება—ეს ნიშნავს ვიყოთ ფრთხილად და ვიშრომოთ მეტი

„ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა ვით ქვიტკირსა“-ო,—გვმოძღვრავდა დიდი შოთა რუსთაველი. რას ვიზამთ, მსოფლიოს მოდებულმა პანდემიამ ახალი ვირუსის სახით, ჩვენი პატარა ქვეყანაც დააყენა საშინელი საფრთხის წინაშე და ვიდრე საჭირო ვაქცინა არ შეუქმნიათ მეცნიერებს, კორონავირუსთან თანაცხოვრება მოგვიწევს. ბარაქალა ხელისუფლებას, ბარაქალა მედიკოსებს, რომ გატარებული თანმიმდევრული ღონისძიებებით საიმედოდ დაიცვეს ადამიანთა სიცოცხლე; კოვიდ-19-თან ბრძოლის შედეგებით მსოფლიოში მოწინავე ადგილზე ვიმყოფებით, რომ საქართველო უსაფრთხო ზონად არის გამოცხადებული და გამალებული მზადებაა ტურისტული სეზონის დაწყებისათვის. თუმცა, ეს ყოველივე, როგორც ჯანდაცვის წამყვანი სპეციალისტები აცხადებენ, არ ნიშნავს, რომ პანდემია დავამარცხეთ, შეზღუდვების მოხსნის პარალელურად, დაინფიცირებულთა რიცხვი გაიზრდება, შემოდგომისათვის კი პანდემიის ახალი დიდი ტალღაა მოსალოდნელი. ასე რომ, საჭიროა თითოეულმა მოქალაქემ, ზუსტად დაიცვას მოცემული რეკომენდაციები, გამოიჩინოს სიფრთხილე და კიდევ სიფრთხილე.

და, რაც განსაკუთრებულად მთავარია, ვიშრომოთ რაც შეიძლება მეტი, რომ ამოვწიოთ შენელებული ეკონომიკა, თითოეულმა ჩვენი შესაძლო წვლილი შევიტანოთ მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმის რეალიზაციაში. როგორც პრემიერმა გიორგი გახარიამ განაცხადა, ეკონომიკის გაჯანსაღებაში პირველი იქნება ტურიზმი, მეორე—სოფლის მეურნეობა. შესაბამისად, ქმედითი ღონისძიებები ხორციელდება სოფლის მეურნეობის განსავითარებლად. ეს უკანასკნელი სისხლხორცეულია ჩვენთვის, რადგან თერჯოლა ტრადიციულად სოფლის მეურნეობის რაიონია. უნდა ვეცადოთ, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არცერთი გოჯი არ დარჩეს დაუმუშავებელი. მოვიყვანოთ რაც შეიძლება მეტი ყურძენი, მარცვლეული, ბახჩეული... ყველა მეურნემ, ვისაც მიწის ნაკვეთები აქვს დარეგისტრირებული, უნდა შეძლოს იმდენი, რომ თუ ჭარბ პროდუქციას ვერ შექმნის, თავის ოჯახის მოთხოვნილებები მაინც დაიკმაყოფილოს.

გაზეთიდან „ჩვენი სოფელი“, მაისი №3.

მთავრობის ზრუნვა სოფელსა და ფერმერებზე ყოველწლიურად იზრდება. დარგი 2013 წლიდან პრიორიტეტადაა გამოცხადებული და შემუშავებულია კონკრეტული გეგმა ფერმერების დასახმარებლად, დასახული პროგრამის დაფინანსების გასაზრდელად.

პირველად „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში განისაზღვრა სოფლის მეურნეობის კერძო სექტორის დახმარების სრულყოფილი პაკეტი.

20 მაისიდან დაიწყო ახალი სახელმწიფო პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება“.

1,25 ჰა-დან 10 ჰა-მდე და მეტი ფართობის მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შესაძლებლობა აქვს, ბარათზე დარიცხული ქულები გამოიყენოს სასოფლო-სამეურნეო საქონლის, მათ შორის სასუქების და მცენარეთა დაცვის ქიმიური, ბიოლოგიური საშუალებების, ასევე სასოფლო-სამეურნეო მიწის აგროტექნიკური სამუშაოების მომსახურების შესაძენად. პროექტის ფარგლებში, არაუმეტეს 10 ჰექტარისა, ერთწლიანი მიწის ნაკვეთებისათვის სუბსიდია შეადგენს მაქსიმუმ 2000 ლარს. პროგრამით ისარგებლებს 200 000-მდე ფერმერი.

**გ. დადუნაშვილი, სოფ. ღვანკითი:** სოფლის მეურნე კაცს დახმარება როდის იყო რომ არ სჭირდებოდა, მაგრამ ახლა, ამ დაწყევლილი კორონას გამო, როცა თითქმის გაიყინა ყველაფერი, დახმარება სასიცოცხლოდ აუცილებელია. მადლიერების მეტი რა გვეთქმის ხელისუფლების მიმართ—ჯერ ერთი ის, რომ დაავადებას გავრცელების საშუალება არ მისცეს, გატარებული ღონისძიებების შედეგად მთლიანად ქვეყანა უსაფრთხო ზონად აქციეს. მეორე მხრივ ყველას, ვინც დაზარალდა ეკონომიურად, პანდემიის გამო უმოქმედო გახდა, გარკვეული ანაზღაურება მისცეს. ფერმერებმაც მივიღეთ სუბსიდიის სახით, სპეციალური პროგრამის შესაბამისად, დახმარებები. პირადად ვისარგებლე ამ დახმარებით, შეღავათიან ფასში შევიძინე დიზელის საწვავი. იმ დღეს ოფიციალური ფასი 1,70 თეთრი იყო, მე 1,16 თეთრად შევიძინე. ლიბერთი ბანკში ასაღები მაქვს ვაუჩერი, რომლითაც სასუქსა და შხამ-ქიმიკატებს შევიძენ ბახჩეულის, ნათესების და ვენახის მოსავლელად. მეზობელი მყავს ინდმეწარმე, ხის ნაკეთობებს ამზადებს. რას გააკეთებდა, ყველა სახლებში ვიყავით გამოკეტილი. გაგზავნა საჭირო შეტყობინება, სადაც ჯერ არს და სულ რამოდენიმე დღეში 300 ლარი დაერიცხა ანგარიშზე.

ზოგი იტყვის, ეს რა არის, ის რა არის, 300 ლარი რა ფულიაო. არ უნდა იყო უმადური კაცი. ისიც ხომ უნდა გაითვალისწინო, ქვეყნისათვის რა ვითარებაში, რა პირობებში იღებ შენ ამ დახმარებას. სხვას რომ თავი დავანებოთ, მთავარი ისაა, რომ განსაცდელის ჟამს მარტო არ რჩები, ვიღაც ფიქრობს შენზე, ვიღაც გინვდის დახმარების ხელს და გაძლევს იმედს, ცხოვრებას გაუმკლავდე.

სოფლის მეურნეობას მინისტრის რანგში, რამოდენიმე წელია, უაღრესად განსწავლული, სოფლის ჭეშმარიტი გულშემატკივარი ადამიანი ლევან დავითაშვილი ხელმძღვანელობს და ეს ცოტას როდი ნიშნავს.

**დ. ზარნაძე, ახალთერჯოლა:** დახმარება არის ფერმერებზეო რომ გავიგე, გამეხარდა და როგორ, ორი კაპიკიც რომ დაზოგო, წაადგება ოჯახს. უმალ მერიის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს მივაშურე. ჩემთან ერთად იყო რამოდენიმე ჩემი მეზობელიც. თავაზიანად მიგვიღეს. ნახეს კომპიუტერში და სამწუხაროდ, არცერთი არ ვიყავით სიაში. ალბათ თანამესაკუთრეები გყავთ დარეგისტრირებულ ფართობზე. ეს საქმე გასარკვევია და ალბათ ნოტარიუსით დადასტურებული მათი თანხმობა დაგჭირდებათ, რომ როგორც აგროდიზელის საწვავის, ისე სამეურნეო საქონლის შესაძენად სუბსიდია მიიღოთო.

აგერ კვირა გადის, დახმარებას ვერ ვიღებთ, არადა, როგორც იქნა, წვიმა მოვიდა, ახლა თუ არ შევიძინეთ სასუქი და არ მივეცით ყანებს, მერე რაღას წაადგება. ნათქვამია, მადლს მარილიც უნდა მოაყაროო. კარგი იქნებოდა, გამარტივებული ყოფილიყო დახმარების მიღების პროცესი.

***P.S.** ვინაიდან თანამესაკუთრეებით გამოწვეულ პრობლემაზე სხვა ფერმერებიც წუხდნენ, გადავწყვიტეთ, მერიის საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრის მუშაკებს გავსაუბრებოდით. გაგვიკვირდა, რომ აქ ადრინდელისგან განსხვავებით, ხალვათობა იყო. სუბსიდიების მისაღებად საჭირო საბუთების გაცემა გეგმაზომიერად მიმდინარეობს. როგორც ხედავთ, რიგები აღარაა, გვითხრა ცენტრის უფროსმა სპეციალისტმა მინდია ქარქაშაძემ.*

*როგორც ჩვენთან, ისე „ლიბერთი ბანკში“ ეს პროცესი ადრინდელთან შედარებით საკმაოდ გამარტივებულია,—აღარაა აუცილებელი, თანამესაკუთრეების ნოტარიუსიდან დადასტურებული მინდობილობები. კონკრეტული პირი, ვის ზედაც სამეურნეო ფართობია დარეგისტრირებული, თავისთან ერთად წარადგენს „ლიბერთი ბანკში“ მიწის თანამესაკუთრე პირებს, რომელთაც ხელზე უნდა ჰქონდეთ პირადობის მოწმობა. მათი თანხმობის შემთხვევაში, სუბსიდიის მიღება გარანტირებულია.*

**ი. ერაძე**

# „ჩვენ ვიპოვით გზას თქვენთან მოსასვლელად“...

*თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრი (დირექტორი რუსუდან კოვზირიძე) დღემდე რჩება ბავშვებში, მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების გაღვივების, ახალი ინტერესების გაჩენის და მრავალმხრივი ცოდნის დაუფლების უალტერნატივო ცენტრად. უფრო მეტიც, იგი ყოველთვის წინ უსწრებს დროის მოთხოვნებსა და გამოწვევებს და ქვეყნის მასშტაბით ძნელად თუ მოიძებნება ანალოგიური დაწესებულება, სადაც ასეთი მრავალფეროვანი არჩევანი ჰქონდეთ ახალგაზრდებს, სადაც ასე შინაარსიანი, მომავალზე ორიენტირებული, წრეებისა თუ კლუბების სიმრავლითა და შინაარსით დატვირთული შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობდეს...*

*მსოფლიო პანდემიამ, კორონას სახით, თერჯოლაშიც შემოაღწია და „შინ დარჩენა!“ მოითხოვა დიდ-პატარასაგან. წარმოუდგენელი რამ მოხდა, დაიკეტა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის კარებიც, რომლის მიღმა უამრავი დაგეგმილი თუ დაუგეგმავი პროექტი, აქტივობა, პრეზენტაცია და ა.შ. საინტერესო გასართობი თუ შემეცნებითი სამუშაოები იყო შესასრულებელი...*

*ეს იყო 2 მარტს, როცა დროებით, ანუ 16 მარტამდე შეჩერდა მუშაობა ცენტრის შენობის სანიტარული დამუშავების მიზნით, თუმცა „კორონამ“ თავდაყირა დააყენა სამყარო და ბუნებრივია, სასწავლო დაწესებულებების კარებიც უფრო ხანგრძლივი დროით დაიკეტა, ვიდრე ვინმეს წარმოედგინა.*

*ცენტრის დირექციისა და აღმზრდელ-პედაგოგთა გონივრული და პროფესიონალური ძალისხმევით, ტრადიციული სწავლება-მუშაობა აღსაზრდელებთან მაღალ დონეზე ორგანიზებული, დისტანციური მეთოდით ჩანაცვლდა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მათ კარგად გაართვეს თავი ამ უჩვეულო, თუმცა საჭირო და აუცილებელი მეთოდით სწავლებას...*

*ყველაფერი კი ასე დაიწყო:*

**3 აპრილი**
**„დარჩი წიგნთან“**

ეს არის თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის ინტელექტუალური კლუბის „უხილავი ხილულის” ახალი პროექტი (კოორდინატორი ლეილა სირაძე), რითაც ჩვენს გვერდს გითმობთ, რათა გამოიყენოთ ჩვენი ონლაინ სივრცე თქვენი ინტელექტუალური ცოდნის გამოსავლენად. შესაძლებლობა გაქვთ, ასაკის მიუხედავად, უპასუხოთ ჩვენს კითხვებს და ასევე, გამოგვიგზავნოთ კითხვები.

კვირის ბოლოს კი, ერთად გამოვავლინოთ საუკეთესო კითხვის ავტორი და საუკეთესო ინტელექტუალი.

**4 აპრილი**
**ყველას! ყველას! ყველას!**

მოგესალმებათ ღონისძიების დაგეგმვის და განხორციელების კლუბი (ხელმძღვანელი რუსუდან კოვზირიძე). პირველ რიგში გისურვებთ ჯანმრთელობას და პოზიტიურ იმედიან განწყობას... პოზიტივი დღეს იარაღია ვირუსის წინააღმდეგ, ჩვენ არ გვინდა დავშორდეთ ერთმანეთს და მერე ცრემლებით ვაუწყოთ მეგობარს, თუ როგორ გვენატრება ან გვენატრებიან. როგორც არასდროს, დღეს ისე საჭიროა ერთად ყოფნა, ახლობელი ადამიანები ყოველთვის ერთად არიან სულიერად, ახლა, ამ ეპოქაში, თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას, კომუნიკაცია დავამყაროთ ერთმანეთთან, გადავიტანოთ ჩვენი ყურადღება საქმეზე და ვაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია...

ჩვენ, ამ მძიმე დღეებს გადავიტანთ ერთმანეთის თანადგომით და სიყვარულით.

ცინიკოსებო... პესიმისტებო, სულერთია დათუნიებო... ახლა თქვენ ყველაზე მეტად უნდა აიყვანოთ თავი ხელში...

შემოგვიერთდით.

**„კაცრები ჩვენი ცხოვრებიდან — კორონა ვირუსის ჟამს“**

დღეს უჩვეულო სიტუაციაა სამყაროში, არა, სამყაროს არ უჭირს, წელიწადის დრო ციური ეტლის შესაბამისად რბის...

გვიჭირს ჩვენ, ადამიანებს.

ფრთხილად, მაგრამ მაინც მიგვანიშნა უფალმა, საკუთარ შეცდომებზე.

დიახ, ფრთხილად, უფლის ძალა უზარმაზარია, მან მხოლოდ ერთი პატარა მარცვალი დააგდო დედამიწაზე და...

ადამიანებმა გონს მოსვლა დავიწყეთ, გადავაფასეთ ჩვენი ქმედებები, დამოკიდებულებები, დიახ, დამოკიდებულებები...

ახლა გაურკვევლობის შიში, რა იქნება დღეს, ხვალ, სულს გვიფორიაქებს, ვიცით მხოლოდ ერთი, უფლის წყალობით გვაქვს ჩვენი ოჯახი, ჩვენი კერა, ჩვენი ფუძე, ჩვენ დავბრუნდით ოჯახში, რომელსაც ლამის სასტუმროს ფუნქციაღა ჰქონდა დარჩენილი...

აღმოვაჩინეთ დღეები, რომელიც მხოლოდ თარიღებად აღიქმებოდა.

სოფელში გაიღო დაკეტილი სახლები... ბოქლომები უსაქმოდ კოწიალობენ ჭიშკრებზე, ამუშავდა მამაპაპურად თოხი და ბარი...

თუმცა, ძველებური „პურისჭამის“ გარეშე, მეზობლობა მხოლოდ გადაძახილით, მიკითხვა-მოკითხვით შემოიფარგლება...

და-ძმები ბაღის, სკოლის ასაკის, ერთად თამაშობენ... ბავშვები თამაშს უბრუნდებიან.

ბევრი რამ შეიცვალა... და რასაც დღეს ვუყურებთ, ვგრძნობთ, განვიცდით, ხვალ წარსული იქნება.

მეხსიერებას შემორჩება, მაგრამ შემდეგ დრო წაშლის ...

ჩვენი მიზანი: სწორედ ამ კადრების დოკუმენტად ქცევაა ...

გადაიღეთ მინი ვიდეოები 2-5 წუთიანი. გამოაგზავნეთ ნებისმიერი ვიდეოკადრი, ჩვენთვის საინტერესოა, რადგან დოკუმენტურია, გნებავთ სიუჟეტით, გნებავთ უსიუჟეტოდ... ჩვენ ვქმნით დოკუმენტურ ფილმს, რომლის ჩვენებას ვგეგმავთ, როცა დადგება ჟამი სიცოცხლისა...

ჩვენთან არს ღმერთი ... და ჩვენ გავიმარჯვებთ...

**8 აპრილი**

ყურადღება! ცხადდება ნორჩ შემოქმედთა ლიტერატურული კონკურსი, რომელსაც ბავშვთა უფლებების დაცვის კლუბი (კოორდინატორი ნათია გამყრელიძე) 12 წელია ატარებს.

კონკურსის მიზანია, გამოავლინოს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები და ხელი შეუწყოს მათ თვითრეალიზაციას, დამოუკიდებელი აზროვნებისა და საკვლევაძიებო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, წერის კულტურის ამაღლებას. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს (მე-8-დან მე-12 კლასის ჩათვლით). მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ საკონკურსო ნამუშევარი თემებზე:

1.დისტანციურად ყოფა-ცხოვრების გაკვეთილები.

2. ჩემი ფიქრების დღიურები.

3. განსაცდელი, როგორც ახალი შესაძლებლობების დასაწყისი.

4. ის, რაც უნდა დაიტოვოს და არ დაკარგოს კაცობრიობამ კორონავირუსის შემდეგ.

ესსე, ჩანახატი, ინტერვიუ, მოთხრობა, ნოველა. კონკურსანტი სურვილის მიხედვით ირჩევს თემას. ნაშრომმა უნდა გამოავლინოს მოსწავლის დამოუკიდებელი შემოქმედებითი აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, საკუთარი თვალთახედვა, პოზიცია და დამოკიდებულება აღნიშნული თემისადმი.

**13 აპრილს** უკვე ინტერნეტ სივრცეში ჩნდება ქარგვის კლუბის პედაგოგის, ანა გოგიაშვილის ონლაინ-გაკვეთილების შედეგები მარტი-აპრილის თემატიკის შესაბამისად.

ყოჩაღი და შრომისმოყვარე გოგონების—სესილი, კესო, თათია მორალიშვილების, სალომე გოგლიჩიძისა და ლიზი ჩიტიძის ნაქარგები.

ასევე ტრადიციულად მიმზიდველია თექა-გობელინის კლუბის (კოორდინატორი ხათუნა გურული) წევრების ანა გეწაძის, ალექსი ურიადმყოფელის, ქრისტინე მაკარიძის, მარიამ ბუხრაშვილის და ნინო ხუჯაძის საგაზაფხულო ნამუშევრები.

ულამაზესია ნინო ხუჯაძის (თექა) და სალომე გოგლიჩიძის (ნაქარგი) ნამუშევრები, რომლითაც აღდგომის დღესასწაული მიულოცეს დამთვალიერებლებს...

* * *

დისტანციურ რეჟიმში განაგრძობდა მუშაობას „გამოყენებითი ფიზიკის“ კლუბი (კოორდინატორი ნინო გვენეტაძე). გაზაფხულის დადგომას კლუბმა საინტერესო ვიქტორინა მიუძღვნა. მოსწავლეებს გაეგზავნა ვიქტორინის შეკითხვები, რომლებიც გაზაფხულზე მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ფიზიკურ ახსნას შეეხებოდა. ასევე ფიზიკის კლუბი „ონლაინ“ რეჟიმში აგრძელებდა მზადებას კონფერენციისათვის „ფიზიკა ჩვენს ირგვლივ“.

* * *

საგანგებო მდგომარეობის პირობებშიც კი წარმატებით აგრძელებდა მუშაობას აგრონომთა კლუბი (კოორდინატორი გურამ კუპატაძე, სპეციალისტი სერგო გაბეხაძე). მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად საგაზაფხულო სამუშაოთა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ამ პერიოდზე მოდის, საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე, ყველაფერი ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა და ტრადიციულად მოვლილ-ნაპატრონებია ყველა კულტურა, ისე რომ საცდელ-სადემონსტრაციო სათბურის სატაცური, კომბოსტო ანუ ბროკოლის მოსავალიც მოიწიეს... ნორჩი „აგრონომები“ კი დავალებებს დისტანციურად იღებდნენ პედაგოგისაგან... საოჯახო პირობებში ასრულებდნენ დავალებებს... მექი წულუკიძემ, ონისე გაბეხაძემ და გიორგი თურქაძემ ვაზის მწვანე მყნობის წესებიც კი შეისწავლეს.

* * *

ტრადიციულად მიმზიდველი, საინტერესო და სახალისოა ეკოკლუბის (კოორდინატორი მზეო ბუსკივაძე) ფოტოვიქტორინა, კლუბის

წევრები აქტიურად, თუმცა დისტანციურ რეჟიმში გამოეხმაურნენ დედამიწის დღეს და გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს.

„ავიყვანდი და ხელისგულზე დავისვამდი დედამიწას, ამდენს რომ ბრუნავს ერთი წამით დავასვენებდი...

მიკვირს—როგორღა ბრუნავს დაღლილი...

მძიმდება და მძიმდება დედამიწა...

ის კი მაინც კეთილად ბრუნავს...

ღმერთის ხელი აბრუნებს და იმიტომ... (გოდერძი ჩოხელი).

* * *

ტრადიციულად აგრძელებდა მუშაობას მეფუტკრეთა კლუბი (კოორდინატორი ნანა გვენეტაძე), ასე ჩატარდა საგაზაფხულო სამუშაოების პრაქტიკული საქმიანობა „მზადება ღალიანობისათვის“ წრის წევრთა მონაწილეობით. ფუტკრის ოჯახებზე დაიდგა კორპუსები, დადგმის მუშაობის პროცესში აქტიურობდნენ: რატი ზარნაძე, მიშიკო ზარნაძე, ნიკოლოზ გვენეტაძე, ალეკო აბულაძე.

ინტენსიურ ონლაინ რეჟიმში მუშაობას აგრძელებდა საგანგებო მდგომარეობაში ინგლისურენოვან თარჯიმანთა კლუბი (ხელმძღვანელი თეონა პეტრიაშვილი); საინფორმაციო ტექნოლოგიების შემსწავლელი კლუბი (კოორდინატორი შორენა მგელაძე); მხატვრული კითხვის კლუბი „ნეკა“—კოორდინატორი ლალა კუპატაძე; საიუველირო ნაკეთობათა შემსწავლელი კლუბი—კოორდინატორი გელა დათიაშვილი. მოსწავლეები: მარიამ გოგიაშვილი, მარიამ დათიაშვილი, თაკო დათიაშვილი ონლაინ მეცადინეობებით მიღებული პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალისთვის შემდეგ, სახელოსნოს გარეთ, ღია სივრცეში პედაგოგთან ერთად ხალისით ამზადებდნენ სამკაულებსა და სხვადასხვა აქსესუარებს.

* * *

მიიწურა ცენტრის სასწავლო წელი, ონლაინ მეცადინეობებით და პრაქტიკულებით. 1 ივნისიდან 20 ივნისამდე საანგარიშო აქტივობები ცვლიდა ერთმანეთს.

როგორც ჯანდაცვის სამინისტრო ვარაუდობს, დიდი ალბათობით, პანდემიის მეორე ეტაპი დაემთხვევა ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

„ჩვენ ვიპოვით ყველაზე ლამაზ, ყველაზე თბილ და საინტერესო გზას თქვენამდე მოსასვლელად ბავშვებო!“—ასეთია ცენტრის გზავნილი თითოეული აღსაზრდელისადმი...

**მზია ცქიფურიშვილი**

*P.S. ეს ყველაფერი არ არის, რა მუშაობაც პანდემიის პირობებში გასწია ცენტრმა, მოსწავლეებმა და აღმზრდელებმა. მომავალ ნომერში „თერჯოლა“ ცენტრის ერთ-ერთი კლუბის საინტერესო ბავშვებს და მათ ფოტოგზავნილებს გაგაცნობთ იმის დასტურად და იმედად, რომ ნიჭიერი, შემოქმედი, ზნეკეთილი ახალგაზრდები ეზრდებიან ქვეყანას...*

*ცენტრში ახალი საერთაშორისო პროექტებიც დაიწყება, რომლის მიმდინარეობის შესახებ „თერჯოლას“ მკითხველი დროდადრო გაიგებს.*

# პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით

იმ დღიდან, რაც ავტომობილების ტექნიკური დათვალიერება დაიწყო, თერჯოლის ტექდათვალიერების სადგური შპს „ტრანსიმერი“ სრული დატვირთვით მუშაობს. აქ არა მარტო თერჯოლელი მძღოლები და ავტომფლობელები მოდიან, არამედ მეზობელი რაიონებიდანაც. შეფასების კრიტერიუმი მაღალია, მომსახურე პერსონალი სრულად ითხოვს დადგენილი ნორმების შესრულებას, გამორიცხულია რაიმე შეღავათი, რადგან მათ კარგად იციან, რომ წაყრუების ან თვალის დახუჭვის უკან ადამიანური საფრთხე დგას და კიდევ—მაღა-

ლი კომპიუტერული კონტროლი.

დიახ, ეს კარგად აქვთ გააზრებული სერვისცენტრის მესვეურთ. დამფუძნებლები: **ვახტანგ ძოწენიძე, გიორგი ფართლაძე** და **არჩილ ბარათაშვილი,** სპეციალისტები **იმედა ჩუბინიძე, მირიან ლილუაშვილი, გიორგი ფორჩხიძე.**

თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ავტომობილი, ამის შესახებ, ჩვენი გაზეთი, გასული წლის 4 თებერვლის ნომერში წერდა, ახლა კი გვინდა, მძღოლებს შევახსენოთ, თუ რა უნდა გააკეთონ, ვიდრე მანქანას ტექდათვალიერების სადგურში მიიყვანენ: ავტომობილი უნდა იყოს გარეცხილი, არ უნდა ჟონავდეს ზეთი, წესრიგში იყოს წინა და უკანა შუქფარები, საქარე მინა იმგვარი, რომ მძღოლს მხედველობას არ უნდა უშლიდეს (დაუზიანებელი), ერთ ღერძზე თანაბარი პროტექტორების მქონე საბურავები, გამონაბოლქვის მავნე შემცველობა უნდა შეესაბამებოდეს დაშვებულ ნორმებს, ყველა ქანჩი და ჭანჭიკი ბოლომდე დაჭერილი და ა.შ. გვინდა ხაზი გავუსვათ იმ პასუხისმგებლობას, რომელსაც „ტრანსიმერის“ თითოეული თანამშრომელი გრძნობს. როგორც უკვე ვიუწყებოდით, სამუშაო საათები იწყება დილის 8 საათიდან და გრძელდება გვიან საღამომდე.

სამუშაო შრომატევადი და დამქანცველია, მაგრამ საპატიო და საპასუხისმგებლო. როგორც ექიმი ზრუნავს პაციენტის ჯანმრთელობაზე, ასე „ტრანსიმერის“ ბიჭები ზრუნავენ იმაზე, რომ არ გამოეპაროთ რაიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი, რათა მათ მიერ დათვალიერებულმა მანქანამ უსაფრთხოდ ატაროს ავტომფლობელები, ხოლო სრული უსაფრთხოება კი მაინც მოძრაობის წესების დაცვაზეა დამოკიდებული.

მძღოლებო! გისურვებთ უსაფრთხოდ გევლოთ საქართველოს გზატკეცილებზე.

# ხელმარჯვე და კეთილშობილი

რამდენი კარგი კაცი დააბიჯებს ამ მადლიან მიწაზე, რამდენი ისეთი, მასთან შეხვედრა რომ გსიამოვნებს და გახარებს, რამდენი გვხიბლავს თავისი ინდივიდუალობით, ხასიათით, ფიზიკური თუ პიროვნული თვისებებით, რამდენია მისაბაძი თავისი საქმიანობით. ასეთთა შორისაა ქალაქ თერჯოლის მკვიდრი დემური ჩუბინიძე. ფიზიკურად სრულყოფილი, საქმიანობით გამორჩეული და ხელმარჯვე, ყველაფერი რომ გამოდის ხელიდან. ძირითადად კაფელის დაგების ოსტატია, მაგრამ ბრწყინვალედ იცის წყალგაყვანილობა, ელექტროობა, ლესვა, ღებვა, ელშედუღება და კიდევ ბევრი რამ, რაც კი შეიძლება კაცმა იცოდეს. მოვა, დაათვალიერებს შესასრულებელ

სამუშაოს, ჩამოწერს მასალების რაოდენობას, თვითონვე წაგყვება მათ შესარჩევ-შესაძენად. დაიწყებს ელექტროობით, მერე წყალკანალით, შეუძლია რკინის თუ პლასტმასის მილებზე მუშაობა. აქვს ყოველგვარი ხელსაწყო და სამარჯვი მოწყობილობა. მუშაობის პროცესში წყნარი და მშვიდია, უპრეტენზიო. ფასზე და შესასრულებელ სამუშაოთა ოდენობაზე წინასწარ გაგირიგდება, მაგრამ მერე გზადაგზა ახალი სამუშაოები იჩენს თავს, თუმცა, მასაც უპრობლემოდ ასრულებს. დამეთანხმებით, რომ ასეთ კაცთან ურთიერთობა ერთობ სასიამოვნოა. დაამთავრებს სამუშაოს და იმდენად კმაყოფილი რჩები, რომ მასთან დაახლოების სურვილი გიჩნდება. ასეთი მადლიანი კაცი გინდა შენი ახლობელი და მეგობარი იყოს. დღემდე მარტოხელა მგელკაცი იყო, მარტო ასრულებდა ყოველგვარ სამუშაოს. ახლა თავისივე შვილი, თემური დაიყენა გვერდში და ერთად შეხმატკბილებულად ასრულებენ დაკვეთებს. გაიგეს რა მისი ხელმარჯვეობის და კაცურკაცობის შესახებ უამრავი დამკვეთი ჰყავთ, ძნელი მოსახელთებელი შეიქმნენ ორივე, მამაშვილი. თვეობით ელოდებიან ადამიანები, რომლებსაც მისი დაქირავება სურთ, თორემ დუნიაზე ხელოსნებს რა დაღევს.

ჯანი და ღონე გვინდა ვუსურვოთ მადლიან ადამიანებს, სხვისი ცხოვრების გალამაზება რომ გაუხდიათ ცხოვრების კრედოდ.

**ვალერიან თალაკვაძე**

# მადლიერება ორგანიზებული სწავლებისათვის

***გულინი ფანჩულიძე „თერჯოლის“ მკითხველებისათვის კარგად ცნობილი ქალბატონია, იგი წლების განმავლობაში უდიდესი პასუხისმგებლობით ასრულებდა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს, უყვარდა და უყვარს აღსაზრდელებს, კოლეგებს, თანასოფლელებს, სრულიად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საზოგადოებას. ერთი სასწავლო წელია, ქალბატონი გულინი პენსიაზე იმყოფება.***

იგი დღემდე ჩვენი გაზეთის აქტიური მკითხველი, გამავრცელებელი, შემფასებელი და კორესპონდენტია. რამდენიმე თვის წინ, მხედველობის პრობლემები ჰქონდა. საბედნიეროდ, შვილებისა და მედიკოსების მცდელობა კარგი შედეგით დასრულდა. როგორც ჩვენთან სატელეფონო საუბრისას განაცხადა, ახლა ქალბატონი გულინი, ნელ-ნელა წაიკითხავს „თერჯოლის“ მიმდინარე წლის დაგროვებულ, წაუკითხავ ნომრებს და ეს იქნება მისთვის დიდი სიამოვნება.

პენსიონერი პედაგოგი „თერჯოლასთან“ საუბარში მადლიერებას გამოხატავს თერჯოლის №1 საჯარო სკოლის დირექტორის ელისო მურადაშვილისა და მთელი პედკოლექტივის მიმართ, განსაკუთრებით პედაგოგების მალვინა ზარნაძისა და მაგნოლი კუპატაძის მიმართ...

ჩემი შვილიშვილები: მარიამ, გიორგი და მათე მუჯირები თერჯოლის №1 საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები არიან. სკოლამ პანდემიის პირობებში კარგად აუწყო ფეხი დისტანციური სწავლების რეჟიმს. კლასის ხელმძღვანელები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მოსწავლეებს მიეღოთ მითითებები, დავალებები და ყველაფერი გაეკეთებინათ რეკომენდაციების შესაბამისად. სამივე ჩემმა შვილიშვილმა წარმატებით დაასრულა სასწავლო წელი, გარკვეული ცოდნა და გამოცდილება მიიღო, რისთვისაც მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს. ვუსურვებ წარმატებებს პროფესიულ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში...

ვისურვებდი, რომ ასეთი საგანგებო მდგომარეობები აღარ განმეორდეს და ბავშვები ახალი სასწავლო წლიდან დაუბრუნდნენ საკლასო ოთახებს, ჩვეულ ტრადიციულ რეჟიმში გააგრძელონ მუშაობა, თუმცა, სკოლას უკვე საკმაო გამოცდილება აქვს, როგორ იმუშაოს შინ დარჩენილ ბავშვებთან.

გულინას სურვილია, საქართველოში და თერჯოლაშიც სასწავლო პროცესი შეუფერხებლად და წარმატებულად მიმდინარეობდეს და ქვეყანას მეტი განათლებული და ზნეკეთილი თაობა ეზრდებოდეს...

**მზია ცქიფურიშვილი**

# მკითხველი რედაქციაში
# სამშობლოსა და ღვთის სიყვარულით

***გაზეთს აქვს მიზიდულობის ძალა, რომლითაც მკითხველს თავისკენ ახედებს და შესაძლებლობას უქმნის გაამჟღავნოს პირადი მოსაზრებები, შეხედულებები, დამოკიდებულებები და ა.შ.***

***გაზეთის რედაქცია საზოგადოებრივი აზრის უპირველესი თავშესაყარია. ეს არის მისი მოვალეობაც და არსებობის ხიბლიც.***

***ამ მცირე შესავლის დასტურად წარმოგიდგენთ ჩვენი საზოგადოების ერთი გამორჩეული წევრის შორენა ბოჭორიშვილის გულწრფელ მონათხრობს ადამიანზე, რომელიც თავისი სასულიერო მოღვაწეობით, მოქალაქეობრივი პოზიციით, ადამიანური ხიბლით იმსახურებს და კიდევაც არის აღიარებისა და კეთილი სიტყვის ღირსი.***

„სამშობლოსა და ღვთის სიყვარულით“—ავტორს ასე დაუსათაურებია **მამა სპირიდონის** მიმართ დიდი ადამიანური სიყვარულითა და პატივისცემით მიძღვნილი სტრიქონები:



„ზოგჯერ ჯადოსნური სიტყვაც ვერ გადმოგვცემს სრულად ღირსეული ადამიანის ღვაწლს. ასეთი ხართ თქვენ, გვხიბლავს თქვენი თავმდაბლობა, მშვიდი ბუნება, აზროვნების სიღრმე, ლოგიკური განსჯა, ღვთისმოსაობა, გულდინჯი მრჩევლობა და კეთილი ღიმილი. ეს ყველაფერი თქვენი შინაგანი სათნოებისა და სიკეთის ანარეკლია.

მრევლი ალალად განდობთ თავის შინაგან სულიერ ტკივილსაც, სიხარულსაც...

საკვირველია, როგორ იტევთ ამდენ სიყვარულს.

მამა სპირიდონ, თქვენ ბრძანდებით ღვთის კაცი, ჭეშმარიტი მამულიშვილი. თქვენი სული სანთელივით იწვის მამულისათვის, ვაჟკაცურად, მხნედ ეზიდებით ძვირფას ტვირთს, რომელსაც ღმერთთან ადამიანის დაახლოება ჰქვია...

დიახ, მოყვასისა და სამშობლოს სიყვარულით მიემართება თქვენი ჭეშმარიტი გზასავალი ზენაარისკენ, „წყალობაი შენი, უფალო, თანამავალ მეყვნ მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, დამკვიდრებად ჩემდა სახლსა უფლისასა განგრძობასა დღეთასა“.

*მამა სპირიდონ: თქვენ სალოცავად გაქვთ ცა*
*და მიწა,*
*და საოცნებოდ, საქართველო თქვენი ფიქრია,*
*თქვენი ნათელი ღვთიური ძალა*
*სიკეთისა და სიბრძნის ხიდია.*

**თქვენი მრევლის სახელით,**
**შორენა ბოჭორიშვილი“.**

**რედაქციისაგან:** ქალბატონი შორენა ბოჭორიშვილი ჩვენი გაზეთის აქტიური მკითხველი გახლავთ. ის ჯანსაღი თვალით უცქერს საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებასა და მოღვაწეობა-საქმიანობას. პირველად არ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამა თუ იმ აქტუალური თემის მიმართ. ჯანსაღი თვალით ხედავს და დამაჯერებლად მოგვითხრობს ჩვენი ყოველდღიურობის თანმდევ პროცესებზე.

**რედაქცია მადლობას უხდის მას, მიესალმება თავის აქტიურ მკითხველ-კორესპონდენტებს. მოვუწოდებთ მათ, მეტი და მეტი მოგვწერონ სადღეისო თემებზე. გაგვიზიარონ მოსაზრებები—„ვითა ვქნათ“ და როგორ დავუდგეთ დღევანდელ გამოწვევებს.**

## წუთიერმა გართობამ შეიძლება მთელი დღის ფიზიკური შრომა შეგიმსუბუქოთ (სცადეთ!)

— ჩვენი მეზობელი ზესტაფონელები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი ფეროშენადნობთა ქარხნით. მათივე საკუთრებაა პოპულარული შორისდებული, რომელიც თქვენ უნდა გამოიცნოთ.

— სამართლიანად ამაყობენ თავიანთი ქვანახშირის მომპოვებელი შახტებით კარის მეზობელი ტყიბულელებიც. ისინი რას იცნობენ უკეთ ვიდრე სხვა რაიონების მკვიდრნი? (დაასახელეთ).

— აჭარლებსა და რაჭველებს აქვთ ერთი საერთო რამ, რაც აგრე რიგ აუცილებელია და არა მხოლოდ მათთვის (ახსენით, რასთან გვაქვს საქმე).

— დაასახელეთ ქ. ქუთაისის ჯერჯერობით განუხორციელებელი საუკუნის პროექტი.

— ქუთათურებს და არა მხოლოდ მათ, ალბათ გაუკვირდებათ, რომ საიმერეთოს ცენტრს დავით აღმაშენებლის ქალაქი სულაც არ წარმოადგენს (უპასუხეთ).

— თერჯოლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლის სახელს მოაცილეთ პირველი ორი ასო და მიიღებთ საქართველოს ერთ-ერთი ქალაქის სახელწოდებას.

* * *

თბილი-სი
ქუთაი-სი
ბოლნი-სი
მანგლი-სი
დმანი-სი...

დაასახელეთ ორი კურორტი საქართველოში—მათგან ერთი იწყება სი-ნაწილაკით, ხოლო მეორე მთავრდება სი -ნაწილაკით.

* * *

თუ დახატავთ ერთ-ერთ შინაურ ცხოველს და მას წინ დაუსვამთ ქართული ანბანის ერთ-ერთ ასოს—მიიღებთ ჩვენი რაიონის ერთ-ერთი სოფლის სახელწოდებას (შეეცადეთ).

პასუხებს მომდევნო ნომერში იხილავთ.

## ცოტ-ცოტა ყველაფერზე

ბევრს შეიძლება „ასი გრამი“ ერჩივნოს, მაგრამ მედიცინა დაჟინებით გვირჩევს—დილით, ადგომისთანავე თუ ორი არა, ერთი ჩაის ჭიქა წყალი მაინც დავლიოთ.

***

მედიდური ადამიანები ზემოდან დასცქერენ... წიგნებს.

***

მამარდაშვილი მოკლეს ფიქრებმა და იმ ადამიანებმა, რომლებიც... არ ფიქრობდნენ...

***

ადამიანის ბედი—თავი რომ მოიკლას სიკეთის კეთებით, მაინც გამოუძებნიან გასაკილავს.

***

ესტრადიდან ზოგჯერ ისეთ იუმორს გვთავაზობენ, სიცილით „ვკვდებით“.

***

ჩვენ ვისვენებთ, რათა დავიღალოთ და პირიქით.

***

სიკვდილის ლანდი—მარადიული დარდი!

***

როგორ ვიყო მშვიდად, თუ სამშობლოს მიწას მეცილებიან?

***

სიფრთხილე მეტად გვმართებს მაშინ, როცა ტკბილად გვესაუბრებიან.

***

ზარმაც კაცს კლავს შიმშილი და მთქნარება.

***

მკვეხარა ერთ სიკეთეს მაინც სჩადის—უსმინე და იცინე.

***

მდიდრის არ შეგშურდეს. მან ხომ არ იცის მშვიდი ძილის ფასი.

***

სირცხვილია უსირცხვილობა.

***

სიკვდილს ნუ ვაწყენინებთ, ჩვენ ხომ მუდამ მასთან ყოფნა მოგვიწევს...

## უბედურის ბედი

### მინიატურა

ადრეული ბავშვობის წლებიდან მახსოვრობას შემორჩა მისი სახე. ღრმა, სევდიანი ცისფერი თვალები ჰქონდა. ეს თვალები ყოველთვის რაღაცას ითხოვდნენ... ენა ებმოდა, მაგრამ ადვილი მისახვედრი იყო მისი წუხილი. ტანსაცმელჩამოძენძილი, ფეხშიშველა ხანგამოშვებით ჩვენს ეზოშიც გამოჩნდებოდა. დადგებოდა ჭიშკართან და ელოდა, როდის გააკითხავდნენ მჭადით და ყველით; ზოგჯერ ნახმარი ტანსაცმელ-ფეხსაცმელითაც... სევდიან მზერას დაგვიტოვებდა... ეგ იყო მისი სამადლობელი. გულს მტკენდა ჯერ მიწას არაცდენილი ბასასხები უშვერი სიტყვების ძახილით რომ ამდევნებოდნენ საცოდავ უთვისტომოს.

მერე გაუჩინარდა. წლებმა წაშალეს მისი სახება...

ამას წინათ, სოფლის სასაფლაოზე, თვალი უნებლიედ მოხვდა ჟამთაგან ხავსმოდებულ სვეტს, რომელზეც ახალი „მეპატრონის“ სახელი „ფაქიზო“ ამოეკვეთათ მოოქროვილი ასოებით.

კეთილ ადამიანებს ოდესღაც, შეძლებული მიცვალებულის გაუქმებულ ძვალთშესალაგში ღარიბი თანასოფლელი ჩაესვენებინათ...

სევდიანმა იუმორმა გული უზომოდ გამითბო.

## სად, რა კომენტარები კეთდებოდა კორონას თემაზე

**თელავი**—ე, მაგ კორონასა ეგრევე გადავუკეტევით გზაი გომბორზედა, გურჯაანის მხრისკენ გადავრეკეთ ბოლომდინა...

**ტყიბული**—ერთი გაუქმებული შახტა გვქონდა ნიკოლოზისდროინდელი—შევიტყუეთ შითე და მიუკეტეთ კარი.

ის იყო და ის, მისი წკლუმი აღარ გაგვიგონია.

**ზესტაფონი**—ერთი ჩოვუნთეთ ფეროი და რო ჩამოწვა შავი ღრუბელი—ისინი კი დეერეკენ აქიდანი, ხუთ წუთში ე იქ იყვნენ, ეეე, წიფას გაცილებული...

**თერჯოლა**—სიმართლე რო ვთქვათ მაინცდამაინც არ შევუწუხებივართ. ვითომ, ხაუჩაპირებზე დაუკრავთ თვალი, მარა, ისე რო ვინმესთვის რაიმე შეურაცხყოფა მიეყენებინოთ, ცოდვას ნამდვილად ვერ ვიტყვით.

**ქუთაისი**—ეს კორონიე თუ ისე პატარა იყო მიკროსკოპშიც არ ჩანდა, ეცლიათ, სიმონ, პატარა წამოიჩიტებოდა და მერე წაგვევლო ყელში ხელი...

**ხარაგაული**—ჯერ სად ვართ, კორონა მერე უნდა ვნახოთ ჩვენ, გვირაბი რო გეიხსნება.

**წინ ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:** 1. ბუნება. 2. მამულაშვილი (მიხეილი). 3. ზარნაძე (ნიკოლოზი). 4. ლაღიძე (რეზო). 5. ბრაკონიერი. 6. ვაჟა-ფშაველა. 7. მუხნარი. 8. ბორჯომი. 9. ჯაფარიძე (ალიოშა). 10. ძელქვა. 11. ნაკრძალი. 12. ნონისი. 13. მერქანი. 14. ბულბული. 15. შევარდნაძე (ზურიკელა). 16. ჭალა. 17. საირმე. 18. არაგვი.

## ზურაბ არაბიძე—ჯარისკაცის ვალმოხდილობა

***დიახ, ვალმოხდილობა. არ ვამბობთ, რომ გარდაიცვალა. გვენანება ამისთვის...***

***ფიზიკურად ძლიერი გახლდათ. წარმოსადეგი. უშუალო და კეთილმოსურნე. საქმეების საკეთებლად იყო მოწოდებული. ჯარისკაცული ჟინი ხელს უწყობდა, ყოფილიყო წარმატებული...***



თავიდან კი... ასე იყო:

სოფ. რუფოთში დაიბადა არაბიძეების მშრომელ ოჯახში 1962 წლის 29 მაისს. საშუალო განათლება იმავე სოფელში მიიღო. შემდეგი ოფიციალური დოკუმენტები იუწყებიან, რომ ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჯერ ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობა (1982 წ), ხოლო შემდეგ (1988) სამართლისა და ეკონომიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტიც დაუმთავრებია სამართალმცოდნის სპეციალობით.

ბატონი ზურაბის საზოგადოებრივი შრომითი საქმიანობა უმეტესწილად ხიფათით სავსე, თეთრად გათენებულ ღამეებთან ასოცირდება. ეს იყო საზოგადოებრივი წესრიგისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმტკიცის უზრუნველყოფა.

ბეწვის ხიდზე გადიოდა მისთვის ყოველი დღისა თუ ღამის გადასახედი და გზასავალი:

1994-1995 წლებში: ქ. ქუთაისის შსს ცენტრალური აპარატი;

1995-1996 „საფიჩხიის“ პოლიციის განყოფილების უფროსი;

1996-2005 თერჯოლის შს რაიგანყოფილება, საგზაო პოლიციის უფროსი, ადმინისტრაციული პოლიციის უფროსი, უბნის ინსპექტორთა სამსახურის უფროსი, 2006 წლის თებერვალი, 2010 წლის იანვარი—გერმანია, კერძო ბიზნესი. 2010-2012 „ჯი-პი-სი“ სააფთიაქო ქსელი—დაცვის უფროსი, 2012-2015 „სოკარ-ჯორჯია-პეტროლიუმი-უსაფრთხოების ინსტრუქტორი—ქ. ტყიბული.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ომის თემა. საქართველოს მთლიანობისათვის საომარი ოპერაციები... ცეცხლის ხაზი. მძიმე ჭრილობები... მაიორის ჩინის მიღება; ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის წოდება, სხვა საბრძოლო-სახელმწიფო ჯილდოები...

ახლა ეს ყველაფერი ქაღალდზე ადვილად იწერება, ასე ვთქვათ—რომანტიკული შეფერილობით... იქ კი, სხვაგვარად იყო... სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილში მოწმდებოდა ჩვენი გვარისა და ჯილაგის გამძლეობა, სამშობლოს სიყვარული...

რა თქმა უნდა, მამაც მებრძოლს ზურგს უმაგრებდნენ მოსიყვარულე დედა, ქალბატონი ნანი სოფრომაძე-არაბიძისა და მეუღლე ქალბატონი შორენა მახათაძე (პროფესიით ეკონომისტი—სახელმწიფო უნივერსიტეტის წითელდიპლომოსანი, მსახურობდა ერთ-ერთ საბანკო დაწესებულებაში, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო, ოჯახთან (ხანდაზმული დედამთილი, შვილები) ყოფნა უფრო უპრიანი გახდა მისთვის.

მძიმე დრო იყო...

საქართველოს მამაცი კაცები ომობდნენ თავიანთი ქვეყნის ღირსების დასაცავად. თერჯოლას, საქართველოს ეამაყებიან ისინი. მათ სრულად გაიღეს ის, რისი გაღებაც ევალებოდათ. გმადლობთ, ზურაბ, რომ შენ მათ შორის იყავი; რომ კაცურად დაიხარჯე; რომ ოჯახს ვალმოხდილი და პირნათელი დაუბრუნდი. თუმცა, ნატყვიარი და ნაჭრილობევი, მაინც გაუტეხელი, მხნე და შემართული რჩებოდი.

გვჯერა შენი ლაშა-გიორგი (განმარტება მკითხველს: ლაშა გორის უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის პირველი კურსის სტუდენტია, ხოლო გიორგი—თერჯოლის მეორე საჯარო სკოლის დამამთავრებელი, მე-12 კლასის მოსწავლე) მზრუნველ დედასთან ერთად ყველაფერს გააკეთებენ, რათა შენი სახელი მომავალი თაობებისთვის დარჩეს ბრძოლის და შრომის, საქართველოს სიკეთისათვის ნათელ გზამკვლევად.

ცალკე თემაა ზურაბ არაბიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ბოლო მონაკვეთი მშობლიურ რაიონში. ორი წელი არცკი, ამ ხნის განმავლობაში მან შეძლო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა როგორც საქმიანმა, უნარიანმა მოღვაწემ.

სავიზიტო ბარათზე, რომელიც გულითადობის დასტურად გადმომცა, წერია:

**საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი**

**ზურაბ არაბიძე**

**ა(ა)იპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ვეტერანთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარე თერჯოლის რაიონში.**

სამწუხაროდ, 2020 წლის 3 მარტი მისი ბიოგრაფიის ბოლო სტრიქონია.

ამ რელიკვიას სამუშაო მაგიდის უჯრაში ვინახავ, როგორც საქართველოსა და უღალატობის სიმბოლოს.

ზურაბმა ადგილობრივ სახელისუფლებო უწყებებთან ჩართულობით საქმიანი კონტაქტებით, მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი ელგუჯა გოცირიძის მორალური და ფინანსური დახმარებით შეძლო რიგი ვეტერანების ყოფისა და ცხოვრების გაუმჯობესება.

თერჯოლას ახსოვს ის აღტკინება, როცა სიმონეთელი ყოფილი ჯარისკაცის—ავღანეთის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომების, ასევე ერაყის სამშვიდობო მისიის ვეტერანის—ზურაბ ცერცვაძისა და მისი მცირეწლოვანი გოგონას, ზიზის, დასახმარებლად მთელი რაიონი რომ შეიკრიბა...

ეს საქველმოქმედო დღე იყო, რომელიც თერჯოლა-ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ორგანიზებით: მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიისა და ა(ა)იპ ვეტერანთა ცენტრალური კავშირის მეშვეობით გაიმართა.

ასე იყო. დროის მცირე მონაკვეთში ზურაბ არაბიძის მონაწილეობით მოხერხდა არაერთი და ორი შთამბეჭდავი ღონისძიების ჩატარება.

ზურაბ არაბიძე სულ ძიებაში იყო. იქნებ... გულიც ატკინა ვინმემ, მაგრამ მისებრ მაგარი კაცები წვრილმანებზე არ ლაპარაკობენ...

გმადლობთ, ზურაბ რომ იყავი...

სანთელ-საკმეველმა გინათოს მარადჟამს.

შენი სულის ხსენებისა იყოს.

ამ სტრიქონებს შენი ძმადნაფიცი ვეტერანების სახელითა და კარნახით გიწერ

**ნუგზარ გამყრელიძე,**

**ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი**

# წლევანდელი ტურისტული სეზონი თერჯოლაში გერმანელმა მოგზაურებმა გახსნეს

*ახალი კორონავირუსის (Covid-19) პანდემიამ პირველი და უმძიმესი დარტყმა ტურიზმს მიაყენა. ამ ინფექციური დაავადების გამო, რომლის ბუნება და ქცევები სრულად ჯერ კიდევ არაა შესწავლილი. მსოფლიოს წამყვან ფარმაკოლოგიური მიმართულების სამეცნიერო დაწესებულებებს, ლაბორატორიებს თუ მწარმოებლებს კი ასევე ჯერჯერობით არ მიუღიათ ამ დაავადების განსაკუთრებული სამკურნალოწამლო საშუალება და მისი თავიდან აცილება-პრევენციისათვის საჭირო ვაქცინა. მთელ დედამიწაზე—პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში დაიხურა ტურიზმი, ჩაიკეტა საზღვრები, შეწყდა საჰაერო, საზღვაო თუ სახმელეთო ტრასნპორტით მოქალაქეთა გადაყვანები. პანდემიით გამოწვეული საერთო ზარალი უკვე ორ ათეულტრილიონ დოლარს ითვლის და ამ ზარალში მნიშვნელოვანი წილი უკავია საბიუჯეტო შემოსავლებს ტურიზმიდან. პანდემიის გამო სხვა ქვეყნებთან ერთად მყისიერად ჩავარდა კრიზისულ სიტუაციაში საქართველოს ტურისტული ინდუსტრია. დაიკეტა ასეულობით დიდი, მცირე თუ ოჯახური სასტუმრო, ბარ-რესტორანი, კაფე თუ კვების სხვა ობიექტი, გაჩერდა მათი მომსახურე სატრანსპორტო საშუალებები. შედეგად, უმუშევარი დარჩა ათასობით ადამიანი, ტურიზმიდან შემოსავლების გარეშე კი სახელმწიფო ხაზინა.*

ქართველი ეპიდემიოლოგების, საქართველოს მთავრობის და საკუთრივ მოსახლეობის პასუხისმგებლური მოქმედებით და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ღირსეულად გაუმკლავდა კაცობრიობაზე ახალი კორონავირუსის სასიკვდილო შემოტევას. 1 ივლისისათვის ჩვენს ქვეყანაში სულ დაფიქსირდა ამ ვირუსით მოქალაქეთა დაინფიცირების 926 შემთხვევა, აქედან სრულად გამოჯანმრთელდა 791. გარდაიცვალა მხოლოდ 15. სტაციონარებში კი მკურნალობს 229.

საერთო აღიარებით, ეს მაჩვენებლები ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა მთელს მსოფლიოში, მაგრამ რა თქმა უნდა, მაშინ როცა უკვე ერთი თვეა რაც მოიხსნა საგანგებო მდგომარეობა, გაუქმდა კომენდატის საათი და დაჩქარებული ტემპით ხდება სხვადასხვა აკრძალვების მოხსნა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა მიმართულებით, ასეთი შეფასებები ყურადღების მოდუნებას არ უნდა გვაძლევდეს, რადგან საშიშროება კორონაშემოტევის მეორე ტალღისა რეალურად არსებობს. მითუმეტეს, რომ ჩვენს მეზობელ ყველა ქვეყანაში ამ მხრივ ჯერ კიდევ უმძიმესი სურათია.

ივნისის თვეში, ასეთ ფონზე, გაიხსნას ტურისტული სეზონი საქართველოში, რასაც როგორც წესი თან ახლდა სავალდებულო დათქმები საქართველოს მთავრობიდან და ჯანდაცვის სამინისტროდან, შესაბამისი გაიდლაინებით დაწესებული გარკვეული პრევენციული ხასიათის აკრძალვები, რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ როგორც ტურისტული ბიზნესის ინდუსტრიაში დაკავებულმა მოქალაქეებმა, ისე თავად ტურისტებმა.

ჯერ კიდევ ძნელია, გააკეთო პროგნოზი თუ როგორი გამოვა ეს სეზონი, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ ქართული ტურისტული ინდუსტრიის ძირითადი მკვებავი წყაროს ქვეყნებში. —თურქეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, რუსეთში, უკრაინაში, ირანში, შუა აზიის თუ აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ მძიმე მდგომარეობაა და მათთან მიმოსვლა დღემდე არ აღმდგარა.

სწორედ ასეთი რთული გლობალური მდგომარეობის ფონზე გამოჩნდნენ თერჯოლაში ახალი ტურისტული სეზონის პირველი უცხოელი მოგზაურები, იალა, ტაცე და ტლატი—ასე ჰქვიათ გერმანელ ახალგაზრდა სტუდენტებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დაგეგმილი მოგზაურობისას, საქართველოში კორონავირუსის გამო ჩაკეტილ საზღვრებში აღმოჩნდნენ და არც ნანობენ, თითქმის მთელი საქართველო მოინახულეს და აღფრთოვანებას ვერ მალავენ ქართველ ხალხზე, ბუნებაზე და სტუმართმასპინძლობაზე. თერჯოლის მუნიციპალიტეტში მათი მასპინძლობა თერჯოლის საკრებულოს წევრის, მერაბ ღიბრაძის დამსახურებაა და ის ამჟამად მათი მასპინძელია, ხოლო ტურისტულ მოგზაურობებს თერჯოლის ტურიზმის განყოფილება უზრუნველყოფს.

ბატონი მერაბი ამ ახალგაზრდებს შემთხვევით შეხვდა. მათგან ერთ-ერთმა, ამბროლაურში მოგზაურობისას, თავის ტრამვა მიიღო. აუცილებელი გახდა შესაბამისი გამოკვლევა—თავის ქალის სკანირება, რისი ტექნიკური საშუალება ამბროლაურელ მედიკოსებს არ ჰქონდათ და უცხოელი პაციენტი თერჯოლაში, კერძოდ კი კლინიკა „თერჯოლამედში“ გადმოიყვანეს. სწორედ ამ კლინიკის წინ, ტრამვირებული ტურისტის მეგობრების გერმანულ ენაზე საუბარმა დააკავშირა მერაბ ღიბრაძე მათთან. თავად მერაბ ღიბრაძე ერთ პერიოდში 7 წლის განმავლობაში ცხოვრობდა გერმანიის ქალაქ შტუტგარდში და გერმანულ ენასაც კარგად ფლობს.

საკრებულოში რუფოთელთა დეპუტატმა თერჯოლელ ექიმებთან ერთად ყველაფერი იღონა ავადმყოფის დასახმარებლად, შემდეგ კი მათი მეგობრების დასაბინავებლად და ისინი საკუთარ სახლში მიიპატიჟა. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ მერაბ ღიბრაძის სტუმარი უკვე სამივე გახდა.

**მერაბ ღიბრაძე: „ჩემი გერმანელები საუცხოო ახალგაზრდები არიან, წარმოშობით გერმანიის ჩრდილოეთ მხარიდან გახლავან, კუნძულ რიუგენზე ცხოვრობენ. ორი მათგანი სამართალს ეუფლება თავის სამშობლოში, ერთი კი არქიტექტურას.**

**გერმანიაში საკმაო ხანს ვცხოვრობდი და კარგად ვიცნობ მათ. ხანდახან მიკვირს კიდეც რომ ჩემი სტუმრები აშკარად არ არიან სტანდარტული გერმანელის ქცევების ჩარჩოებში. მხედველობაში მაქვს მათი საოცარი გახსნილობა, მხიარული ცხოვრების წესი და სხვა. მაგრამ იმასაც კარგად ვხედავ, როგორი მომთხოვნებიც არიან საკუთარი თავისადმი. მაგალითად, არ არსებობს დღე, რომ თერჯოლის სხვადასხვა ტურისტულ ლოკაციაზე მოგზაურობასთან ერთად მათ ყოველდღე 3-4 საათი არ დაუთმონ მეცადინეობას, აგროვებენ სხვადასხვა მცენარეების ნიმუშებს, აკვირდებიან მათ.**

**უკვე ბევრგან მოასწრეს გასვლა. კმაყოფილები არიან. ჩვენც კმაყოფილები ვართ, რომ ასეთი მიზანმიმართული ახალგაზრდები გვყავს სტუმრად. ეს სტუმრობა ალბათ დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგან საზღვრების გახსნის შემთხვევაში ისინი წავლენ, რომ სისრულეში მოიყვანონ პირადი გეგმები. მათი მშობლები დამიკავშირდნენ. მადლობები გადამიხადეს, სტუმრად მიმიწვიეს გერმანიაში, მეც დიდი მადლობით ვუპასუხე ასეთი კარგი შვილების აღზრდისათვის“.**

ვნახოთ, როგორი მეკვლეები იქნებიან კორონავირუსის გამო საქართველოში ჩაკეტილი გერმანელი ახალგაზრდა მოგზაურები თერჯოლის ტურიზმისათვის.

**დ. შალიკაშვილი**

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპოდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872